# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 316

„12" ივლისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის №24.1118.1258 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

| ქალაქი თბილისი, ილორის ქუჩა N14 (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | მალხაზი საჯაია | 39101047149 | სართული 1 | 37.06 | 01.11.05.035.010.01.505 |
| 2 | არჩილ ბატიაშვილი | 01027023387 | სართული 2 | 59.02 | 01.11.05.035.010.01.518 |
| 3 | დალი ბლიაძე | 57001009031 | სართული 1 | 31.21 | 01.11.05.035.010.01.503 |
| 4 | შალვა ხარებავა | 39101045274 | სართული 1 | 35.85 | 01.11.05.035.010.01.504 |